ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №21

2015 წლის 20 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №202 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1.შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №202 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**

ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის

პროგრამა

2015 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

   დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

   " 1 იანვარი " 2015 წ.
   " 31 დეკემბერი " 2015 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

   35 944 (ოცდათხუთმეტიათას ცხრაასორმოცდაოთხი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

   ა) ძირითადი – ადგილობრივი ბიუჯეტი 35 944 ლარი
   ბ) დამატებითი 0 ლარი

5. პროგრამის განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს 42 დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირების ქ. ბათუმისა და 2015 წლის იანვრის თვიდან შპს "უნიმედ აჭარას" ქობულეთის რეგიონალურ საავადმყოფოს" კლინიკებში დიალიზის სეანების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას (თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13 დიალიზის სეანსს). გამონაკლისის სახით პაციენტებს მხედველობისა და საყრდენ მამოძრავებელი სისტემის მძიმე მოშლით - ქალაქში სამოძრაოდ გამოეყოფა დამატებით 2 ლარი, თვეში 26 ლარი, რადგანაც სამარშრუტო ტაქსის ბოლო გაჩერება ბაზართანაა და მათ საკმაოდ დიდი მანძილის გასვლა ფეხით უხდებათ ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. სიები მოწოდებულია შ.პ.ს. ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსა (7 პაციენტი), შ.პ.ს. "ვია-ვიტას" (12 პაციენტი) და შპს "უნიმედ აჭარას" (21 პაციენტი) მიერ სადაც ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან ტერიტორიაზე მცხოვრები 40 ბენეფიციარი მკურნალობს. ანალოგიური პროგრამა მოქმედებდა 2012-2014 წლებში.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტებისა და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯები საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით გამონაკლისის სახით პაციენტებს მხედველობისა და საყრდენ მამოძრავებელი სისტემის მძიმე მოშლით ქალაქში სამოძრაოდ გამოეყოფა დამატებით 2 ლარი, თვეში 26 ლარი	ბენეფიციართა რაოდენობა
		ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2015 წელი												
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების შესახებ მონაცემების მოპოვება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	35944			35944
	დამატებითი					0
	სულ		35944	0	0	35944

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

2015 წელი							
დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯები დაბის, თემისა და სოფლების მიხედვით							
№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	მგზავრობის თანხა ერთ პირზე (ლარი)	დიალიზის სიანსის რაოდენობა თვეში	ერთ ბენეფიციარზე და მის თანმხლებ პირზე თვის განმავლობაში გასაცემი თანხა (ლარი)	ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	ციხისძირის თემი, ვია ვიტა	ბენეფიციარი	1	4,00	13,00	52,00	**624,00**
2	სოფ. მუხაესტატე, ვია ვიტა	ბენეფიციარი	1	8,00	13,00	104,00	**1248,00**
3	სოფ. წყაროკა, ვია ვიტა	ბენეფიციარი	1	12,00	13,00	156,00	**1872,00**
4	სოფ. დაგვა, ვია ვიტა	ბენეფიციარი		8,00	13,00	104,00	**0,00**
5	დაბა ოჩხამური, ვია-ვიტა	ბენეფიციარი		8,00	13,00	104,00	**0,00**
6	სოფ. აჭყვისთავი, ვია-ვიტა	ბენეფიციარი		10,00	13,00	130,00	**0,00**
7	სოფ. ზედა აჭყვა, ვია ვიტა	ბენეფიციარი	1	6,00	13,00	78,00	**936,00**
8	ქ. ქობულეთი, ვია-ვიტა	ბენეფიციარი		6,00	13,00	78,00	**0,00**
9	სოფ. ზენითი, ვია ვიტა	ბენეფიციარი		10,00	13,00	130,00	**0,00**
10	კვირიკის მეურნეობა, ვია ვიტა	ბენეფიციარი		8,00	13,00	104,00	**0,00**

11	ბობოყვათის თემი, ვია ვიტა	ბენეფიციარი		6,00	13,00	78,00	0,00
12	სოფ. გვარა, ვია ვიტა	ბენეფიციარი		8,00	13,00	104,00	0,00
13	სოფ. კოხი, ვია ვიტა	ბენეფიციარი		10,00	13,00	130,00	0,00
14	ქაქუთი, ვია ვიტა	ბენეფიციარი	1	12,00	13,00	156,00	1560,00
15	ლელვას თემი, ვია ვიტა	ბენეფიციარი		12,00	13,00	156,00	1187,00
16	სოფ. დაგვა, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	10,00	13,00	130,00	1560,00
17	სოფ. ცეცხლაური, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	8,00	13,00	104,00	1248,00
18	სოფ. აჭყვისთავი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	12,00	13,00	156,00	1872,00
19	სოფ. ქვედა აჭყვა, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	8,00	13,00	104,00	1248,00
20	სოფ. ზენითი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	12,00	13,00	156,00	1872,00
21	სოფ. კვირიკე, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	10,00	13,00	130,00	1560,00

22	სოფ. ქობულეთი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	1	12,00	13,00	156,00	**1872,00**
23	სოფ. ჩაისუბანი, რესპუბლიკური	ბენეფიციარი	1	6,00	13,00	78,00	**936,00**
24	ხალას თემი (სოფ.გორგაძეები), ზედა აჭყვა, ქვედა აჭყვა, საჩინო	ბენეფიციარი	1	6,00	13,00	78,00	**936,00**
25	სოფელი სამება	ბენეფიციარი		6,00	13,00	78,00	**936,00**
26	დაბა ჩაქვი	ბენეფიციარი	1	3,20	13,00	41,60	**499,20**
27	სოფ. ჩაისუბანი	ბენეფიციარი	1	4,00	13,00	52,00	**624,00**
28	სოფ. სახალვაშო	ბენეფიციარი	1	4,00	13,00	52,00	**624,00**
29	ქ. ქობულეთი, მუხაესტატე, კვირიკის მეურნეობა, ხუცუბანი შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	9	2,00	13,00	26,00	**2808,00**
30	აჭყვისთავი, დაგვა, ზენითი, სოფ კოხი, ლედვა, წყავროკა შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	10	4,00	13,00	52,00	**6240,00**
31	გვარა, ოჩხამური, სოფელ ქობულეთი შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	4	2,80	13,00	36,40	**1747,20**
32	ბობოყვათის თემი, შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	2	3,20	13,00	41,60	**998,40**
33	მხედველობისა და საყრდენ მამოძრავებელი სისტემის მძიმე მოშლით ბენეფიციარებზე ქალაქის ფარგლებში სამოძრაოდ				26,00		**936,00**

	სულ	42				35943,80
	სულ					35 944
სულ სოციალური უზრუნველყოფა						

დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების გაცემა მოხდეს 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით თვის პირველ რიცხვებში.

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

1 კვარტალი 11 108 ლარი; 2 კვარტალი 8 112 ლარი
3 კვარტალი 8 362 ლარი; 4 კვარტალი 8 362 ლარი

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

2014 წელს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამით მოსარგებლეები და 2015 წელს ახალი პაციენტის წარმოშობის შემთხვევაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს გამგებელს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ყოველთვიური ტრანსპორტის ხარჯების გაწევის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ყოველთვიურად თვის პირველ რიცხვებში პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე თანხას.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

2014 წელს პროგრამით მოსარგებლე პაციენტები, ასევე 2015 წლიდან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტები (შ.პ.ს. ქ. ბათუმის "რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსა", შ.პ.ს. "ვია-ვიტას" და შპს "უნიმედ აჭარას" ქობულეთის რეგიონალურ საავადმყოფოს" მიერ მოწოდებული დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები).

დ) პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტებისა და თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯებს დაბის, თემისა და სოფლების მიხედვით, საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებამდე და სამედიცინო დაწესებულებიდან საცხოვრებელ ადგილამდე. შ.პ.ს. ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსთან მისასვლელად საჭიროა დამატებითი ტრანსპორტი, ამისათვის გათვალისწინებულია 7 ბენეფიციარზე ქ. ბათუმში მგზავრობის თანხები.

ე) ყოველთვიურად გასაცემი თანხა ბენეფიციარებზე გაიცეს 2015 წლის იანვრის თვიდან